ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0106, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

მ ი თ ი თ ე ბ ა № 001089

შედგენის თარიღი: 12 თებერვალი 2016წ.

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25–ე მუხლის მე–2 ნაწილი);

მითითება წარმოადგენს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის ან სამშენებლო საქმიანობაზე სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მასში აღნიშნული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი შ.პ.ს. „ათენა" ID№ 406078113
ქ.თბილისი, ისნის რაიონი, მესხიას ქუჩა №3

ობიექტის დასახელება და მისამართი სპორტული ბინის ნაგებობა
ქ.თბილისი, ნაძალადევის ქუჩა, მესხეთა მხარეს №01.19.16.002.006 საკადასტრო

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი მიმდინარე

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები
შ.პ.ს. „ათენა"-ს სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები
ანსრულებს შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე.
დარღვევის გამოსწორების მიზნით გეკრძალებათ ობიექტზე
დამატებითი სამშენებლო ნარჩენების დაყრა და ნაქმარი-
ანი მითითების შეგეზნებამდე არსებული საპროექტო
დოკუმენტაცია.

_____ რაც

გათვალისწინებულია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 44 მუხლის 1 ნაწილის „ე" პუნქტით.
საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება 10000 ლარით.
დარღვევის გამოსწორების ვადა 20 (ოცდაათი) დღე.

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დარღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება.

შემოწმების აქტის საფუძველზე თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა–ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25–ე მუხლის მე–9 ნაწილი);

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევირს საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: ა) დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა; ბ) განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები; გ) შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ; დ) არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის 25–ე მუხლის მე–9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)
უფროსი ინსპექტორი ქ.შ. [signature] ქ. ჯაფარიძე
მთავარი სპეციალისტი მ.შ. [signature] ი. ფირცხალავა

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25–ე მუხლის მე–19 ნაწილი).

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.
(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)
ქარგალის ტერიტორია 15 თებერვალი 2016წ.
დაწყობილი 29.02.16წ.

განთავსების თარიღი

ჩვენ შპს „მშენებელი" პირობა შეთანხმდა გეგმაში.
07.03.2016.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე 4036 16

"01" 04 2016 წ.

დადგენილება №001089
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

01.04.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფერიძემ განვიხილე 2016 წლის 12 თებერვლის №001089 მითითება და 2016 წლის 28 მარტის №001089 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ათენკ"-ის (საიდენტიფიკაციო კოდი №406078113, დირ. ალექსანდრ მაკარიან (BA1900386, AN0636178, სომხეთი), მის: ქ. თბილისი, მახათას ქ. №3) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ორხევი, ახვლედიანის ქ. მარჯვენა მხარეს, ნაკვეთი №02/006-ში (საკ. კოდი №01.19.16.002.006) და მის მიმდებარედ შ.პ.ს. "ათენკ"-ის მიერ განხორციელდა კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 12 თებერვალს შედგენილ იქნა მითითება №001089, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის დემონტაჟისათვის ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2016 წლის 28 მარტს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001089, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის იმედი ცერცვაძის 01.04.2016წ. მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი №102508/12 22.03.2016წ., №110280/12 28.03.2016წ. და №113223/12 30.03.2016წ. განცხადებების საფუძველზე გადამოწმდა ქ. თბილისში, ორხევი, ახვლედიანის ქუჩა, მარჯვენა მხარეს (საკ. კოდი №01.19.002.006) და მის მიმდებარედ არსებული ობიექტი და გამოვლინდა, რომ სამსახურის №001089 12.02.2016წ. მითითებაში აღნიშნული უნებართვოდ აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობა მოქცეული საკ. კოდი

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

№01.19.16.002.006-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში (გასწორებულია №01.19.16.002.006-ის საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზები, იხ. სამსახურის აზომვითი 30.03.2016წ.).

საგულისხმოა, რომ მხარის №102508/12 22.03.2016წ., №110280/12 28.03.2016წ. და №113223/12 30.03.2016წ. განცხადებებში ასევე აღნიშნულია, რომ მხარე ეთანხმება სამსახურის №001089 12.02.2016წ. მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევას და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ათენკ"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ორხევი, ახვლედიანის ქ. მარჯვენა მხარეს, ნაკვეთი №02/006-ში (საკ. კოდი №01.19.16.002.006) შ.პ.ს. "ათენკ"-ის მიერ განხორციელდა კაპიტალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონი "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ათენკ" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, ორხევი, ახვლედიანის ქ. მარჯვენა მხარეს, ნაკვეთი №02/006-ში (საკ. კოდი №01.19.16.002.006) კაპიტალური შენობა-ნაგებობის უნებართვოდ მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ათენკ"-ს დაევალოს ქ. თბილისში, ორხევი, ახვლედიანის ქ. მარჯვენა მხარეს, ნაკვეთი №02/006-ში (საკ. კოდი №01.19.16.002.006) უნებართვოდ აშენებული კაპიტალური შენობა-ნაგებობის დემონტაჟი;

3. შ.პ.ს. "ათენკ"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების **დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის **სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის **დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ათენკ"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, უ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე **№** 0

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ID 432259305

გადამხდელის დასახელება	ათენკ	თანხა ციფრებით 8000.00 **GEL**
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	406078113	
ანგარიშის ნომერი	GE02PC0133600100059169	თანხა სიტყვებით რვაათასი ლარი 00 თეთრი
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	
სახელფასო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) ☐
დასახელება	ათენკ	სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:30 სთ-მდე
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	406078113	
მიმღების დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში(სხვა შემოსულობები/ თვითმმართველი ქალაქი თბილისი)	ბანკის აღნიშვნები
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კოდი TRESGE22	ბანკში შემოსვლის თარიღი **05.04.2016 11:51**
გადასახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	ხელმოწერა - - - - - - - - - - - - - - - -
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება #001089 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე	პროკრედიტ ბანკი PROCREDIT BANK ელექტრონული მომსახურების ცენტრი ELECTRONIC SERVICE CENTER
ხელმოწერები -	ბეჭდის ადგილი თარიღი: **05.04.2016**	